პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

KOMUNISTI—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

11 მარტი შაბათი 1972 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან • № 59 (15272)

მთვარისირგვლივ ფრენის ხუთი ტრანსნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული კოსმოსური კავშირგაბმულობის ცენტრი. 10 მარტი. (საკდესი). ავტომატური „ლუნა-19“ სადგური უკვე ხუთ თვეზე მეტი ხანია აწარმოებს მეცნიერულ გამოკვლევებს მთვარისირგვლივ ორბიტაზე.

10 მარტს 13 საათისათვის მოსკოვის დროით „ლუნა-19“ სადგურმა 1.810-ჯერ შემოუფრინა მთვარეს. ამ ხნის განმავლობაში სადგურთან მოეწყო რადიოკავშირის 516 სეანსი, რომელთა დროსაც ხორციელდებოდა ტრაექტორიული გაზომვები თანამგზავრის ორბიტის ელემენტთა მთვარის გრავიტაციული ველის შემდგომი გამოკვლევის მიზნით.

სისტემატურ დაკვირვებათა მიღებულ მონაცემებს ამუშავებენ საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები.

ტელემეტრიული ინფორმაციის მონაცემებით, სადგურის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობენ.

საბჭოთა ავტომატური „ლუნა-19“ სადგურის ფრენა გრძელდება.

სოფლის კომუნისტთა მთავარი საქმე

ბევნი ქვეყნის სამხრეთ რაიონებში დაიწყო ნიადაგის მომზადება საგაზაფხულო თესვისათვის. მიმდინარეობს საშემოდგომო პურეულის გამოკვება. დადგა ხუთწლედის მეორე წლის გაზაფხული — დაძაბული, პასუხსაგები მუშაობის პერიოდი. მიმდინარე წელი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების, მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ხანგრძლივი კომპლექსური პროგრამის შესრულების წარმატებას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო უდიდეს მატერიალურ-ტექნიკურ დახმარებას უწევენ სოფელს. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჰყავთ კვალიფიციური კადრები, აქვთ მექანიზაციისა და ქიმიზაციის საშუალებანი. მაღალპროდუქტიული თესლი, შეიძინეს მარცვლეული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლის დიდი გამოცდილება. ყოველივე ეს შესაძლებლობას უქმნის მათ გულდაჯერებით გადაწყვეტონ დასახული ამოცანები, ყოველგვარ პირობებში მოიყვანონ სტაბილური მოსავალი. კიდევ უფრო გაზარდონ წარმოების ეფექტიანობა, დარაზმონ მინდვრის მშრომელნი ხუთწლედის მეორე წლის გეგმებისა და ვალდებულებების წარმატებით შესრულებისათვის — აი სოფლის პარტიული ორგანიზაციების, სოფლის ყველა კომუნისტის მთავარი საქმე.

მომავალ მოსავალს საფუძველს უყრის გაზაფხულისათვის სანიმუშოდ მომზადება. საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად საგაზაფხულო პურეულის თესვა, ნათესების მზრუნველური მოვლა. ბუნებრივია, ყოველი ახალი საგაზაფხულო თესვა პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს ფართო ორგანიზატორულ და მასობრივ-პოლიტიკურ საქმიანობას. წლეულს ეს მოთხოვნები იზრდება, ვინაიდან ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ უნდა გადასინჯოს ნათესების სტრუქტურა, განახორციელოს ოპერატიული ღონისძიებანი ცივი ზამთრის შედეგების ლიკვიდაციისათვის. მოკლე ხანში უნდა შესრულდეს გაზრდილი მოცულობის მინდვრის სამუშაოები.

რას აპყრობენ ახლა მთავარ ყურადღებას სოფლის კომუნისტები? უწინარეს ყოვლისა იმას, რომ მეურნეობათა ხელმძღვანელობამ გაითვალისწინონ გაზაფხულის თავისებურებანი, თვითეული ტრაქტორის, თვითეული მანქანის გაზრდილი დატვირთვა, შეძლონ მოიგონ თესვის ძვირფასი დრო, მაშასადამე, უზრუნველყონ უხვი მოსავალი. წესრიგზეა თუ არა ტექნიკა, როგორია თესლის კონდიცია? სწორად წარმოებს თუ არა საშემოდგომო ნათესების გამოკვება? როგორ იიარაღებენ მეურნეობათა ხელმძღვანელები, სპეციალისტები ადამიანებს შრომის მოწინავე ხერხებითა და აგროტექნიკის ცოდნით? ამ და სხვა გადაუდებელი თესვისწინა საქმეებისადმი დაწესებული უნდა იყოს შუუნელებელი პარტიული კონტროლი. კომუნისტები მოწოდებული არიან არა მარტო გვიჩვენებდნენ უხვი მოსავლისათვის ბრძოლის პირად მაგალითს, არამედ აგრეთვე აღზევდნენ თავიანთი კოლექტივების ერთსულოვან, ეფექტიან მუშაობას.

სოფლის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს ახლა დიდი შესაძლებლობანი აქვთ იმისათვის, რომ უფრო აქტიურად ახდენდნენ გავლენას წარმოებაზე, ღრმად და ოპერატიულად უწევდნენ კონტროლს სამეურნეო საქმიანობას. საკმარისია ითქვას, რომ კოლმეურნეობების ერთ მესამედში და საბჭოთა მეურნეობების თითქმის ორ მესამედში შექმნილია პარტიული კომიტეტები. ხოლო ბრიგადებში, განყოფილებებსა და ფერმებში მოქმედებენ სამჭრო პარტიული ორგანიზაციები, პარტიული ჯგუფები. საშუალოდ თითქმის ორმოცდაათი კომუნისტი უშუალოდ დასაქმებულია თვითეული კოლმეურნეობის წარმოებაში. მათ ძალუძთ შექმნან და დაიცვან კოლექტივებში შემოქმედებითი შრომის, მაღალი დისციპლინირებისა და ურთიერთმომხოვნელობის ატმოსფერო.

კარგ მაგალითს გვიჩვენებენ ოდესის ოლქის კომინტერნოვსკოეს რაიონის კომუნისტები. აქ თვითეული პარტიული, მექანიზატორი იქნება იგი თუ მეცხოველე, შეჯიბრების ინიციატორია, სრულყოფს ოსტატობას თავის სპეციალობაში. ისინი სათავეში ჩაუდგნენ ბრძოლას თესვის დროულად მომზადებისათვის. მაღალხარისხოვნად შეაკეთეს ტექნიკა, გაწმინდეს თესლი. სპეციალისტებმა ინსტრუქტაჟი გაუწიეს თვითეულ მშრომელს, რომელიც მოხნავს, დათესავს, შეიტანს სასუქებს, და მტკიცედ ადევნებენ თვალს ყველა აგროტექნიკური მოთხოვნის შესრულებას. გულდაგულ გამოიკვლიეს საშემოდგომო ნათესების მდგომარეობა, შეიტანეს მინერალური სასუქები. პარტიულმა ორგანიზაციებმა მიზნად დაისახეს გადააქციონ რაიონი ღონიერი ხორბლის მოშენების ზონად და ეხმარებიან სოფლის მშრომელებს შეისწავლონ მეცნიერებისა და პრაქტიკის მიღწევები, დანერგონ ყოველივე საუკეთესო წარმოებაში.

ახლა სოფლის მეურნეობისათვის წაყენებული მაღალი მოთხოვნები, მისი ინტენსიფიკაცია ავალებენ კომუნისტებს უფრო საფუძვლიანად ჩახედნენ თვითეული ეკონომიური პრობლემის გადაჭრას. მათს მუშაობაში ცენტრალური ადგილი უნდა დაიკავოს ტექნიკისა და სასუქების, თვითეული ჰექტარი მიწის სავარგულების ეფექტიანად გამოყენებას. შრომის მეცნიერულმა ორგანიზაციამ, შეჯიბრებაში მატერიალური და მორალური სტიმულების სწორად შეხამებამ. განსაკუთრებული პარტიული საზრუნავი ის არის, რომ გავაძლიეროთ სპეციალისტთა, როგორც ყანების ტექნოლოგთა, როლი, უზრუნველყოთ ყველა კულტურის მოსავლიანობის შემდგომი გადიდების ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება. და, რასაკვირველია, არ უნდა ვიუიგიდებოდეთ მარცვლეულის ნათესების გაუმართლებელი შემცირების, სიმინდის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, კარტოფილის, საფურაჟე კულტურების მოვლა-მოყვანისადმი ყურადღების შენელების ფაქტებს.

მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა წარმატება უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია ადამიანების შემოქმედებითს შრომაზე. ყველაზე კარგი გეგმებიც კი ქაღალდზე დარჩება, თუ ნათს შესრულებას ერთსულოვნად არ მოჰკიდებენ ხელს მშრომელთა მასები. სწორედ ამიტომ პარტიულმა ორგანიზაციებმა წინასწარ უნდა შეამოწმონ კადრების განაწილება თვითეულ ბრიგადაში. საჭიროა ჩამორჩენილ უბნებზე გაგზავნონ ყველაზე მომზადებული და უნარიანი ორგანიზატორები, გააძლიერონ აღმზრდელობითი მუშაობა კოლექტივებში. ძალიან მნიშვნელოვანია უფრო ფართოდ შემოვიღოთ პრაქტიკაში სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების ურთიერთშემოწმება, თესვისათვის მზადყოფნის დათვალიერებანი, ექსკურსიები მოწინავე მეურნეობებში, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები. უფრო აქტიურად უნდა იმოქმედონ აგიტატორებმა და პოლიტინფორმატორებმა, კიდევ ერთ ერთ ... [illegible] ... ბებმა, ადგილობრივმა რადიომაუწყებლობამ — გააშუქონ მეურნეობებში არსებული მდგომარეობა, შეჯიბრების მიმდინარეობა, ნოვატორთა მუშაობის მეთოდები. პარტიული ორგანიზაციების მუდმივი და მიზანმიმართული იდეურ-პოლიტიკური გავლენა მასებზე მიწათმოქმედთა შრომითი ინიციატივის შემდგომი ამაღლების საფუძველია.

ახლა, საგაზაფხულო თესვის წინ, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კომუნისტებს განსაკუთრებით ესაჭიროებათ კონკრეტული საქმიანი დახმარება პარტიული კომიტეტების მუშაკთა მხრივ. მათი მოვალეობაა თანმიმდევრულად ახორციელებდნენ სკკპ XXIV ყრილობის მითითებებს პირველადი პარტიული ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, მათი ბრძოლისუნარიანობის გაძლიერების შესახებ.

შრომაში პირადი მაგალითით, მომწოდებელი სიტყვით, ყოველდღიური ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობით სოფლის კომუნისტები ადიდებენ კოლექტივებს, ავითარებენ შეჯიბრებას ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის.

PRAVDA

10 მარტის მოწინავე

სოფლის მუშაკთა შეჯიბრების დევიზია: მთელი ჩვენი ძალღონე—უხვ მოსავალს!

გარდაბნისა და სამგორის რაიონების მებოსტნეთა ვალდებულებანი

ახონ-დახონეს რა თავიანთი რეზერვები. **გარდაბნის** რაიონის სოფლის მშრომელებმა გამალეს სოციალისტური შეჯიბრება, რათა შეასრულონ გადიდებული ვალდებულებანი: **1972 წელს სახელმწიფოს ჩააბარონ 50 ათასი ტონა ბოსტნეული გეგმით გათვალისწინებული 45.200 ტონის ნაცვლად.**

რაიონში თანთანობ გაეშალა ორგანიზატორული მუშაობა გეგმისა და ვალდებულებათა შესრულებისათვის, სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება ყველა საბჭოთა მეურნეობა, ბრიგადა, განყოფილება, ყოველი მუშები ისინი ცდილობენ პირნათლად შეასრულონ საიუბილეო წლის ვალდებულებანი.

რაიონის ერთ-ერთმა უდიდესმა მებოსტნეობის მეურნეობამ — **რუსპოლოს საბჭოთა მეურნეობამ** (დირექტორი შ. სიბაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი მ. ალიევი) ვალდებულება იკისრა წელს სახელმწიფოს მიჰყიდოს 11 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ბოსტნეული გეგმით გათვალისწინებული 9.100 ტონის ნაცვლად, თვითეულ ჰექტარზე მოწიოს 200 ცენტნერი პროდუქცია, უზრუნველყოს 250 ჰექტარი ბოსტნეულის ნათესების რწყვა დაზიმებით.

გარდაბნის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა (დირექტორი მ. გასანოვი, პარტორგანიზაციის მდივანი ა. შალამბერიძე) გადაწყვიტა ხუთწლედის მეორე წელს სახელმწიფოს ჩააბაროს 8.500 ტონა ბოსტნეული გეგმით გათვალისწინებული 6.450 ტონის ნაცვლად. თვითეულ ჰექტარზე აწარმოოს 250 ცენტნერი პროდუქცია. ამ საბჭოთა მეურნეობის მებოსტნეობის ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი მირამზა გასანოვი ხელმძღვანელობს, ვალდებულება იკისრა 50 ჰექტარიდან თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მოიწოს 340 ცენტნერი ბოსტნეული.

გაჩიანის მერძეევობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი კ. ხომასურიძე, პარტორგანიზაციის მდივანი გ. ბაირამოვი) სახელმწიფოს ჩააბარებს 3.400 ტონა ბოსტნეულს გეგმით გათვალისწინებული 3.100 ტონის ნაცვლად.

დიღმის მერძეევობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი ე. დანელია, პარტორგანიზაციის მდივანი ს. ჭოტუა) — 2.600 ტონას გეგმით გათვალისწინებული 2000 ტონის ნაცვლად. მარტყოფის მებოსტნეობა-მერძეევობის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი მ. ალიევი) — 2.550 ტონას 2.220 ტონის ნაცვლად. გარდაბნის კიროვის სახელობის მერძეევობის საბჭოთა მეურნეობა (დირექტორი. მ. ხიალოვი, პარტორგანიზაციის მდივანი ს. ყულიევი) — 2.500 ტონას გეგმით გათვალისწინებული 2000 ტონის ნაცვლად. კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მებოსტნეობის ბრიგადა, რომელსაც ა. ალიევი ხელმძღვანელობს, თვითეულ ჰექტარზე მოიწევს 200 ცენტნერ ბოსტნეულს გეგმით გათვალისწინებული 135 ცენტნერის ნაცვლად.

ახალი სამგორის მერძეევობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა (დირექტორი ტ. ყორეხალია, პარტორგანიზაციის მდივანი ტ. ხერხმამშვილი) გადაწყვიტა სახელმწიფოს ჩააბაროს 2.300 ტონა ბოსტნეული გეგმით გათვალისწინებული 2.100 ტონის ნაცვლად, სართიჭალის მერძეევობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ა. დემეტრაძე, პარტორგანიზაციის მდივანი მ. წილაური) — 2.380 ტონა 1.700 ტონის ნაცვლად, კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი ი. ხარძიანი, პარტორგანიზაციის მდივანი კ. ზედელაშვილი) — 2.300 ტონა ბოსტნეული გეგმით გათვალისწინებული 1.750 ტონის ნაცვლად და ა. შ.

გარდაბნის რაიონის მებოსტნეებმა გადაწყვიტეს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ პროდუქციის ხარისხს, ასორტიმენტს, უზრუნველყონ, რომ თბილისისა და რუსთავის მშრომელები განუწყვეტლივ იღებდნენ ახალ პროდუქციას.

გარდაბნელ მებოსტნეებს ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების ხელშეწყობა გადაუდებელ ამოცანათ მიაჩნიათ ბოსტნეულის წარმოების მექანიზაციის დონის მკვეთრი ამაღლება. ორგანული და მინერალური სასუქების რაციონალური გამოყენება, სარწყავი მიწების ეფექტიანი გამოყენება, მანქანებელთა და დაავადებათა წინააღმდეგ მკვნარითა დაცვის ღონისძიებათა დროულად და მაღალხარისხოვნად განხორციელება.

ბოსტნეულის წარმოების გადიდებასთან ერთად რაიონის მშრომელები ყურადღებას უთმობენ მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებასა და ფაფუკებას. **გარდაბნელმა მეცხოველეებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს ჩააბარონ 5.700 ტონა ხორცი გეგმით გათვალისწინებული 4.887 ტონის ნაცვლად, 16.680 ტონა რძე გეგმით გათვალისწინებული 15.100 ტონის ნაცვლად, 52.4 მილიონი კვერცხი გეგმით გათვალისწინებული 48.3 მილიონის ნაცვლად.**

ჯანდარის საკიშე მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა მიმდინარე წელს სახელმწიფოს მიჰყიდოს 1.601 ტონა ხორცი. 5.644 სული ძასასოქმელი ... [illegible] ... ბოსტნეულის აღების შემდეგ დაიკავებს 500 ჰექტარს. ამ ფართობზე უნდა მოიწიონ 5.000 ცენტნერი ბარდა. ბოსტნეულის აღების შემდეგ იმავე ფართობზე აგვისტოში გათვალისწინებულია 400 ჰექტარზე დათესონ ტურნეფსი, რაც ზამთარში და ადრე გაზაფხულზე მისცემს მათ 20.000 ტონა მწვანე საკვებს.

მნიშვნელოვნად გაიზრდება პიროტყვის ულუფაში სილოსის მოცულობა: რაიონის კოლმეურნეობები დაამზადებენ 10.000 ტონა სილოსს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.800 ტონისა. ყველა პირობა შეიქმნება ჰექტარზე 300 ცენტნერი სილოსის მოწევისათვის.

სოფელ ტობანიერის კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა 190 ჰექტარი სიმინდის ყანის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 45 ცენტნერი მარცვალი ნაცვლად გეგმით **ამაღლებით, მინერალური და ორგანული სასუქების სწორად გამოყენებით გავადიდებთ მარცვლეულის მოსავლიანობას და სახელმწიფოს მივყიდით 4.855 ტონა მარცვალს ანუ გეგმასთან შედარებით 1.005 ტონით მეტს.**

• • •

სამტრედიის რაიონის მებოსტნეებმა იკისრეს ბოსტნეულის მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოებისა და დამზადების გადიდებული ვალდებულებანი. მათ გადაწყვიტეს ამ მიზნით სანიმუშოდ მოუყარონ კომბოსტოს ნათესებს, დათესონ ხახი 200 ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 160 ჰექტარის ნაცვლად, დათესონ და დარგონ პამიდორი 700 ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 402 ჰექტარის ნაცვლად, კიტრი — 150 ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 86 ჰექტარის ნაცვლად, ბარდა — 100 ჰექტარზე, მნიშვნელოვნად გაიზრდება ჭარხლისა და სტაფილოს თართობები.

ჩაებნენ რა სოციალისტურ შეჯიბრებაში სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, სამტრედიელმა მებოსტნეებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს მიჰყიდონ **1.570** ტონით მეტი ბოსტნეული, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული, **და რაიონში დაამზადონ 13.500 ტონამდე ბოსტნეული გეგმით გათვალისწინებული 11.930 ტონის ნაცვლად, შეასრულონ სახელმწიფოსათვის ბოსტნეულის მიყიდვის გეგმა ასორტიმენტის მიხედვით.**

ბაშის მერძეევობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი სახელმწიფოს მიჰყიდის 1.700 ტონა ბოსტნეულს გეგმით გათვალისწინებული 1.500 ტონის ნაცვლად, **ღანირის ელიტური მეთესლეობის საბჭოთა მეურნეობა** — 1000 ტონას 650 ტონის ნაცვლად, სოფელ **დაბლაგომის კოლმეურნეობა** — 800 ტონას 600 ტონის ნაცვლად, სოფელ **გომის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობა** — 850 ტონას გეგმით გათვალისწინებული 640 ტონის ნაცვლად, **ქალაქ სამტრედიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა** — 800 ტონას გეგმით გათვალისწინებული 460 ტონის ნაცვლად, **ქალაქ სამტრედიის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობა** — 950 ტონას 430 ტონის ნაცვლად, **სოფელ ეწერის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობა** — 550 ტონას გეგმით გათვალისწინებული 376 ტონის ნაცვლად.

გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს ოგრეთვე სხვა კოლმეურნეობებმა, ბრიგადებმა, რვალებმა და ცალკეულმა კოლმეურნეებმა.

სოფელ **დაბლაგომის** კოლმეურნეობის № 1 ბრიგადა 22 ჰექტარიდან საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე მოიწევს 150 ცენტნერ ბოსტნეულს გეგმით გათვალისწინებული 112 ცენტნერის ნაცვლად.

ქალაქ სამტრედიის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ახალი სინათლის უბნის კოლმეურნეები ბოსტნეულს დათესავენ 18.4 ჰექტარზე და ამ თართობზე აწარმოებენ 1.783 ცენტნერ ბოსტნეულს.

სამტრედიის რაიონის სოფლის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს აგრეთვე სახელმწიფოს მიჰყიდონ 1.600 ტონამდე მარცვლეული გეგმით გათვალისწინებული 1.200 ტონის ნაცვლად.

ვალდებულებანი მიღებულია გარდაბნისა და სამტრედიის რაიონების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრებებზე.

ახალქალაქისა და ვანის რაიონების სოფლის მშრომელთა ვალდებულებანი

ახალქალაქის რაიონის მშრომელებმა გააანალიზეს მეცნიერების მტკიცე საკვები ბაზის შექმნის შესაძლებლობანი და მაღალი ვალდებულებანი იკისრეს საზოგადოებრივი პროტესტისათვის საკვების დამზადების დარგში.

რვა კოლმეურნეობისა და ორი საბჭოთა მეურნეობის კოლექტივებმა გადაწყვეტეს მთლიანად აითესონ მინდვრისა და საკვები თესლბრუნვები.

გაზაფხულზე მეურნეობებში მარცვალსაფურაჟე კულტურები დათესება 8.440 ჰექტარზე, აქედან ქერი—6.370 ჰექტარზე, შვრია 850 ჰექტარზე. სამარცვლე პარკოსანი კულტურები — 1.220 ჰექტარზე, საკვები კულტურები დათესება 15.780 ჰექტარზე. გარდა ამისა, შეინარჩუნებენ მიმდინარე წლის მოსავლისათვის გასული წლების ნათესი მრავალწლოვანი ბალახების ნათიბ ფართობს—5.940 ჰექტარს. განსაკუთრებულ ყურადღებას დაუთმობენ მინდვრის სამუშაოების ხარისხს, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების რემონტის დროულად დამთავრებას, დათესვენ მხოლოდ პირველი და მეორე კლასის თესლს.

საკვები კულტურების მოვლა-მოყვანის მექანიზაციის დონის ამაღლებისა და აგროტექნიკის წესების დაცვის შედეგად თვითეულ ნათეს ჰექტარზე საშუალოდ მიიღებენ: **საგაზაფხულო ქერს — 22 ცენტნერს გეგმით გათვალისწინებული 18 ცენტნერის ნაცვლად. შვრიას — 13 ცენტნერს 11 ცენტნერის ნაცვლად. ცერცვლას — 11 ცენტნერს 10 ცენტნერის ნაცვლად. ბარდას — 11 ცენტნერს — 10 ცენტნერის ნაცვლად. ესპარცეტის თესლს — 8 ცენტნერს 6.1 ცენტნერის ნაცვლად, საკვებ ძირხვენებს — 200 ცენტნერს 179 ცენტნერის ნაცვლად. სასილოსე კულტურებს — 180 ცენტნერს 156 ცენტნერის ნაცვლად. ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ბალახების თივას — 32 ცენტნერს, რაც აგრეთვე გეგმაზე მეტია.**

მთლიანად უზრუნველყოფენ რაიონის მეურნეობათა მოთხოვნილებებს საკვები კულტურების თესლზე და გარდა ამისა **სახელმწიფოს მიჰყიდან 10 ათას ცენტნერ საგაზაფხულო ქერის თესლს, 1.500 ცენტნერ ცერცველისა და ბარდის თესლს, 1.700 ცენტნერ ესპარცეტის თესლს.**

ახალქალაქელმა საკვებმომამზადებლებმა გადაწყვეტეს განსაკუთრებით იზრუნონ ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების პროდუქტიულობის ამაღლებისათვის. ამ მიზნით მათ იკისრეს ვალდებულება რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შექმნან ნაყოფიერი სათიბები და საძოვრები 2.050 ჰექტარზე, ამასთან ძირეულად გაუმჯობესონ 850 ჰექტარი, ზედაპირულად გაუმჯობესონ 1.000 ჰექტარი და შემოღობონ კულტურული საძოვრები მოაწყონ 170 ჰექტარზე. ბალახთდგომის მოვლისა და თივის ასაღები სამუშაოების სწორი ორგანიზაციის შედეგად ბუნებრივი სათიბების თვითეულ ჰექტარზე მიიღებენ სულ ცოტა 20 ცენტნერ თივას გეგმით გათვალისწინებული 18 ცენტნერის ნაცვლად.

ახალქალაქის რაიონის მშრომელებმა იკისრეს ვალდებულება დამზადონ 56 ათასი ტონა უხეში საკვები, აქედან 40 ათასი ტონა თივა; დამზადონ აგრეთვე 49.130 ტონა წვნიანი საკვები, კერძოდ 45 ათასი ტონა სილოსი, საზოგადოებრივი მეცხოველეობისათვის გამოყონ 3.200 ტონა მარცვალფურაჟი და 5.500 ტონა საფურაჟე კარტოფილი.

განსაკუთრებით იზრუნებენ წვნიანი საკვების წარმოების გადიდებისათვის, რაც მეურნეობებს, რომლებსაც საკმარისი რაოდენობით ექნებათ კარგი ხარისხის თივა, საშუალებას მისცემს თარეთოდ გამოიყენონ ნაკლებკონცენტრირებული კვება, რის შედეგადაც შემცირდება მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულება.

რაიონის ოთხ კოლმეურნეობასა და სამ საბჭოთა მეურნეობაში პარკოსანი ბალახების მწვანე მასისაგან პირველად დაამზადებენ 1.500 ტონა სენაჟს. უხეში საკვების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დაწნეხავენ სულ ცოტა 2.250 ტონა თივასა და 5.200 ტონა ნამჯას, ოკამის მეხორცეობა-მერძეეობის საბჭოთა მეურნეობაში პირველად გაამრობენ 200 ტონა თივას აქტიური ვენტილაციის საშუალებით.

ახალქალაქის რაიონის მეცხოველეებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს მიჰყიდონ 3.200 ტონა ხორცი გეგმით გათვალისწინებული 2.648 ტონის ნაცვლად, 13.300 ტონა რძე 11.950 ტონის ნაცვლად, 292 ტონა მატყლი 281 ტონის ნაცვლად. გარდა ამისა ისინი დაამზადებენ 15.500 ტონა კარტოფილს გეგმით გათვალისწინებული 12.800 ტონის ნაცვლად.

• • •

ვანის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები წელს შეასრულებენ ყურძნის, ხილის, ჩაის ფოთლის, ბოსტნეულის, მარცვლეულის, მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ვალდებულებებს, გადიდებენ თვითეული ჰექტარი მიწის ნაყოფიერებას, რათა თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 55 ცენტნერი ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50,5 ცენტნერისა და სახელმწიფოს მიჰყიდონ 13.800 ტონა ყურძენი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 12.600 ტონისა.

გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელადაც. ამ გაზაფხულზე 1.000 ჰექტარზე დათესავენ საფურაჟე სიმინდი და მიიღებენ 3.000 ტონა სიმინდის მარცვალს, გაფართოვდება სოიის ნათესებიც. ამ კულტურას დაითმობა 800 ჰექტარი. მათ შორის სუფთა ნათესებს — 400 ჰექტარი, ისე, რომ თვითეულ ჰექტარზე მოიწიონ 15 ცენტნერი, ხოლო სიმინდთან შერეული ნათესებიდან — 12 ცენტნერი სოია. სულ აწარმოებენ 10.800 ცენტნერ სოიას.

შუალეური კულტურა — ბარდა-სიმინდის აღების შემდეგ დაიკავებს 500 ჰექტარს. ამ ფართობზე უნდა მოიწიონ 5.000 ცენტნერი ბარდა. ბოსტნეულის აღების შემდეგ იმავე ფართობზე აგვისტოში გათვალისწინებულია 400 ჰექტარზე დათესონ ტურნეფსი, რაც ზამთარში და ადრე გაზაფხულზე მისცემს მათ 20.000 ტონა მწვანე საკვებს.

მნიშვნელოვნად გაიზრდება პიროტყვის ულუფაში სილოსის მოცულობა: რაიონის კოლმეურნეობები დაამზადებენ 10.000 ტონა სილოსს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.800 ტონისა. ყველა პირობა შეიქმნება ჰექტარზე 300 ცენტნერი სილოსის მოწევისათვის.

სოფელ ტობანიერის კოლმეურნეობამ ვალდებულება იკისრა 190 ჰექტარი სიმინდის ყანის თვითეულ ჰექტარზე მიიღოს 45 ცენტნერი მარცვალი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 30 ცენტნერისა, აიყვანოს სოიის ჰექტარობრივი მოსავლიანობა 17 ცენტნერამდე გეგმით გათვალისწინებული 9 ცენტნერის ნაცვლად. ამავე მეურნეობის № 2 ბრიგადა მოიწევს 174 ტონა სიმინდის მარცვალს გეგმით გათვალისწინებული 87 ტონის ნაცვლად, რაც შეადგენს ჰექტარზე 60 ცენტნერს.

სოფელ დიხაშხოს კოლმეურნეობა სპეციალურად საკვებისათვის 50 ჰექტარზე დათესავს სიმინდს და თვითეულ ჰექტარზე მოიწევს 40 ცენტნერ მარცვალს, 4 ჰექტარზე მოიწევს 64 ტონა სოიას.

რაიონის კოლმეურნეობებში ბრავალწლოვანი ბალახები დაიკავებენ 600 ჰექტარს, უმთავრესად ახლად ათვისებულ მიწებზე. შეიქმნება 800 ჰექტარი კულტურული სათიბები, საიაც მიიღებენ 1.500 ტონა თივას, ხოლო სიმინდის მთელ ჩალას უდანაკარგოდ აიღებენ.

როგორი ამინდიც უნდა იყოს, რაიონში დაამზადებენ სულ ცოტა 9.000 ტონა უხეშ საკვებს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7.000 ტონისა. ყოველ ფერმაში დაამონტაჟებენ უხეში, კონცენტრირებული და წვნიანი საკვების დასამუშავებელ მანქანებს, რაც მინიმუმამდე შეამცირებს საკვების დანაკარგს. 5.000 ჰექტარი საძოვარი გაიწმინდება ხარეველებისა და შხამიანი მცენარეებისაგან, დაინერგება საბალახო ნაკვეთების მონაცვლეობა.

ვალდებულებანი მიღებულია ახალქალაქისა და ვანის რაიონების სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შეკრებებზე.



მზესუმზირას თესვა დაიწყეს წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის მექანიზატორებმა. ეს კულტურა გეგმით გათვალისწინებული 650 ჰექტარის ნაცვლად წელს 700 ჰექტარს დაიკავებს. მემინდვრეები პირობას იძლევიან საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 13-14 ცენტნერი მზესუმზირა. საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებზე დაწინაურდნენ მექანიზატორები.

სურათზე: მზესუმზირას თესვა სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობაში.

ფოტო ს. თევზაძისა და ი. დავითაშვილისა. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მწუხარებით იუწყებიან, რომ 1972 წლის 9 მარტს, 71 წლის ასაკში გარდაიცვალა თვალსაჩინო მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. გ. ჭუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

ვლადიმერ სამსონის-ძე ასათიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. გ. ჭუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის დირექტორის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ვ. ს. ასათიანის დაკრძალვის მომწყობი კომისია შემდეგი შემადგენლობით: რ. დვალი (თავმჯდომარე), ვ. ბოჭორიშვილი, პ. გელბახიანი, ა. გიორგაძე, გ. გოშაძე, ს. დურმიშიძე, ე

მსოფლიო დღეს

ბონი — რატიფიკაცია საარსებო მოთხოვნაა

10 მარტი. (საკადესი). გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საზოგადოებრივობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენელნი, მოითხოვენ რა ევროპის უშიშროებისა და დაძაბულობის შენელების უზრუნველყოფას, აღნიშნავენ რომ ამ პოლიტიკის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია იმ ხელშეკრულებათა რატიფიკაცია, რომლებიც გერმანიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ დადო საბჭოთა კავშირთან და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასთან.

ამ ხელშეკრულებათა რატიფიკაციის, აგრეთვე უშიშროების საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის „დაუყოვნებლივ მოწვევის" მოთხოვნა შეტანილია რეზოლუციებში, რომლებიც დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების ორგანიზაციის კონფერენციის განსახილველად წარადგინეს ქვეყნის ერთ-ერთ ყოდიდეს სამრეწველო რაიონში— საარში.

„უმაღლესი სკოლის სოციალ-დემოკრატიული კავშირის" ფედერაციულმა საბჭომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ხაზს უსვამს, რომ ყოველგვარი დაძაბულობა, რომლებიც ახლა ხელს უშლიან მოსკოვსა და იარშავაში დადებულ ხელშეკრულებათა რატიფიკაციას, „საფრთხეს შეუქმნის მშვიდობასა და საზოგადოებრივ პროგრესს".

საიდუმლო საჰაერო ხიდი — ლუსაკა

10 მარტი. (საკადესი). კვიარაში ხუთ-ექვსკერ სოლსბერის მახლობლად მდებარე აეროდრომიდან მიფრინავენ უნიშნო თვითმფრინავები, რომლებიც დასავლეთისაკენ მიემართებიან.

პორტუგალიის კოლონია ანგოლის ტერიტორიას რომ გადაუფრენენ, ისინი ატლანტის ოკეანის სანაპიროზე გადიან, ჩრდილოეთისაკენ უხვევენ და ბოლოს აღწევენ თავიანთ მიზანს — გაბონის ედუალავ ლიბრეველის საერთაშორისო აეროპორტს. იქ მათ შორეულ სადგომზე აჩერებენ და სასწრაფოდ ცლიან. ოჰანესსბურგის გაზეთ „სტარის" ცნობის თანახმად, ასე მოქმედებს სოლსბერი— ლიბრეველის საიდუმლო საჰაერო ხიდი, რომელიც შეიქმნა მიუხედავად იმისა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაწესა ეკონომიური სანქციები როდეზიელ რასისტთა წინააღმდეგ.

„დს-7" სატრანსპორტო თვითმფრინავები ამ ტრასაზე სოლსბერისა და ლიბრეველს შორის დაჰყავთ როდეზიელთა და ინგლისელთა ეკიპაჟებს. გაზეთის თქმით, „დს-7" თვითმფრინავები, რომლებსაც თავის დროზე იყენებდნენ ბიაფრელი სეპარატისტებისათვის იარაღისა და სხვა ტვირთის მისატანად ნიგერიაში სამოქალაქო ომის დროს, ახლა სოლსბერიდან მიფრინავენ აგრეთვე ზოგიერთ სხვა ქვეყანაში. კერძოდ, სპილოს ძვლის ნაპირში, რომლეკსაც, ისევე როგორც გაბონს, შემთანხმებლური პოზიცია უკავიათ აფრიკის სამხრეთ ნაწილში მოთავრეშე რასისტული რეჟიმების მიმართ.

ლონდონი — მაშველი ძალები

10 მარტი (საკადესი). ინგლისის შეიარაღებული ძალების სარდლობამ გადაწყვიტა გაგზავნოს ოლსტერში იმ ჯარისკაცთა რჩეული ქვედანაყოფები, რომლებმაც განსაკუთრებით „გამოიჩინეს თავი" ადენში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დათრგუნვაში.

გაზეთი „დეილი მირორი" დღეს იუწყება, რომ ეს ქვედანაყოფები გადააკეთეს სპეციალურ ნაწილად, რომელსაც მეთაურობს პოდპოლკოვნიკი ჩ. პარკერი, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა ომან ბაბის „ტერანის" ამბოხების ჩახშობაში. „ეს ნაწილი ოფიცრებისა და ფეხოსანთაგან, ოფიცრებისა და ფეხოსანთა ერთობლივ ძალისხმევა, ოფიციალურ ინფორმაციას ეფუძნება, ოფიციალურ ინფორმაციას ეფუძნება, ოფიციალურ ინფორმაციას ეფუძნება

მწერალი თინა დონჭაშვილი მუშაობს ახალ რომანზე „გამიდეთ კარი“, რომელიც ასახავს ძველი და ახალი ქართველობის ცხოვრებას.

ვგეგმავთ ერთ-ერთ თავს ამ რომანიდან.

გამიღეთ კარი

თინა დონჭაშვილი

ეს ამბავი ჩემი მოგონილი არ არის. იყო დრო, როცა ხალხთა შორის მტრობა უცნაურად ხლართავდა ერთმანეთში ადამიანების ბედსა და გზებს, ზოგჯერ ისე უცნაურად, რომ დაჯერებაც ძნელია, როგორც ძნელია დაჯერება, ვითომ კავკასიონს სალი კლდე გამოეყო და მტერ-მოყვრის საძებრად აბდგა ფეხიო.

* * *

ზაფხულის დღე იწურებოდა, ისეთი, ალაზნისგაღმა რომ იცის. წყვეი მზე, როგორც იქნა, მოსწყდა კაბადონს და კავკასიონიდან მაშინვე თავაწყვეტით გამოქროლა ნიავმა, მონუსხული არამრე მოსულიერა, გული გაუხსნა, გააღიმა და ათას ხმაზე აამეტყველა.

— მაი-მაი-მაია, შენ წაგიღოს ნიავმა, ცხრა მთა გადაგატაროს, ჩემ საბედოს ხალათზე წითელ ღილად დაგხატოს! ფრი-ი-ი!..

გოგონამ მზით გარეული მკვრივი მკლავები ჰაერში აშალა, კისერი წაიგრძელა და ხელისგულზე დასმულ ჭიას შეუბერა.

მაია-ჭიამ დაფინწკლული ფრთები გაშალა და უცებვე გაუჩინარდა. გოგონამ გადაიკისკისა, თავისი დაგლეჯილი მესტები ლამაზ ქოშებთან მიყარა და ტყაპანით დასსკდა ტკისკირა ღელეში მორაკრაკე ნაკადულიდან ამოჩრილ ლოდს.

— რა გაცინებს? — ვითომ გაიკვირვა მეორემ, ლამაზი ქოშების პატრონმა. ალისფერი სტავრის გულისპირით და სარტყელით გაწყობილი კაბის კალთა მუხლებს ზვივით აიწია და შიშველი ფეხის თითები ფრთხილად შეაპარა ნაკადულს.

— ერთიც ვნახოთ, და, ბიჭი შემსვდეს, ხალათზე წითელი ღილი ეკვროს! — ისევ გადაიკისკისა ლოდზე ჩამომჯდარმა გოგონამ და მკლავები ასლა აკეცილ მუხლებზე შემოისალტა.

— რას ამბობ, ნატო, გაგიჟდი? ჩვენთვის ჯერ ადრეა ბიჭებზე ფიქრი! — ძალზე მოიდარბაისლა თავი, რატომღაც შეშინთლებულმა მეორემ, მაგრამ უმიზეზო სიცილი ვერც მან შეიკავა.

— ადრეო? რა ვიცი, მამიდაჩემი კი დღენიადაგ ჩამჩიჩინებს, გასათხოვარი ხარ, სირცხვილია, იორღასავით ნუ დაეჭვნეს აღმა-დაღმაო!

— თითონ რო შინაბერაა, ეშინია შენც არ დარჩე დაწუნებული!

მაინცდამაინც, სასაცილო რა იყო, გოგონები კი დაოსდნენ სიცილით.

— იამზეკ, მალე დაბინდება, გაკვეთილს რატომ არ მეკითხები? — უცებ შეშფოთდა ნატო.

— შენ არხეინად დაესვენე მაგ სავარძელს და- მე მისაყვედურებ?! გადმობრძანდი. პირველი გაკვეთილი ღღეს ზეპირი იყოს, ოცდამეთოთხმეტე თავი უნდა თქვა.

ნატო ნაპირზე გადმოხტა. ატრუსულ ბალახზე დაიჩოქა, შეერთებული ხელისგულები მკერდთან მიიტანა და დაიწყო. ლურჯად მოკამკამე თვალები ჩამავალი მზით ალირმიზებულ დასალიერს ჰქონდა მიპყრობილი და ხმადაბალი ავაჯით ლოცულობდა ლოცვას ავთანდილისას.

იამზე ჯერ უხმოდ და უმოძრაოდ უსმენდა. მისი შავგვრემანი სახის ნატიფი ნაკვთები, გაფრენილი წარბები, ვიწრო მხრები, თხელი თითებიც კი თითქოს ერთიანად შეკერა გულისყურის დაძაბვამ. მერე ნელ-ნელა მოეშვა, თხელი ქუთუთოები ჩამოაფარა გიშრის თვალებს და წვრილი წელის რხევა ააყოლა ლექსის წყობას, მერე ოდნავ გასაგონი ხმა შეეურთა ნატოს ავაჯს.

ახლახან გიჟმაჟი, უდარდელად და ეძიზეზოდ მოკისკისე გოგონები მთელი არსებით ჩაიძირა იმ ლოცვამ. თუმცა არც იამზეს — კახეთის ნაბატნარ ლევან ხიშპიაშვილის მამისერთა ასულს, და მით უმეტეს არც მის ძიძიშვილს, ნატოს — მთაოუშეთიდან ჩამოსახლებულ, მრავალშვილიან ვახო ხელაიძის კოჭანდარას არ ესმოდა, რა ძალას ემონებოდნენ დაზეპირებული თავების კითხვისას. არც უფიქრიათ ამაზე. ისე, ყმაწვილური გრძნობით აღიქვამდნენ და ემონებოდნენ რაღაც შეუცნობელ დიდებულებას.

ლოცვის უკანასკნელი სიტყვა ითქვა, მაგრამ ირგვლივ მიჩრდილული სამყაროსი და საკუთარი განცდის იდუმალებით შეპყრობილი გოგონები ერთხანს უხმოდ შერჩნენ თავთავის ადგილს. ნიავი სათუთად აგრილებდა სიამით აღგზნებულ მათს საბეებს.

და უამი დაუბრუნებელში მიაქანებდა წამებს.

— ეხლა დავწეროთ, თორემ მართლაც დაგვიღამდება, — დაარღვია დუმილი ხალისმოჭარბებულმა ნატომ და ნაკადულის ჩახერგილ უბესთან გადაინაცვლა, ნამიანი სილის ზედაპირი მოასწორა, ქვისქვეშ შენახული გათლილი ჩხირი მოიმარჯვა.

იამზემ ახლადგაღვიძებულივით აახამხამა ბოლოებაპრეხილი წამწამები და მოუთმენლად ატოკებულ ნატოს რომ შეხედა, გაეღიმა.

— შენისთანა სულწასული მეორე არ იქნება! რაც გუშინ ვისწავლეთ, ის დაწერე.

ნატომ ქერა ნაწნავი იღლიაში ჩაიტარა, ხენდროსფერი ტუჩები მოკუმა და მომრგვალებული ასოებით ბეჯითად ამოხატა: „შეიწყალე, უფალო, რამეთუ არ იციან, რას იქმნენ“.

— ო, ნატო, რა ლამაზი წერა იცი, გოგო!

— გუშინ ბაღჩის კარებზე უფრო ლამაზად დავწერე ნახშირით და მამაჩემმა მითხრა, ეგ რა დაგიჯდაბნიაო.

— ძია ვახოს წაკითხვა რომ შესძლებოდა, ეგრე არ გეტყოდა.

— მე გავაცან, რაც ეწერა, და რაღაცნაირად ჩაიცინა, „მაშ ვინც ქვეყნად უსამართლობის ჩამდენი არი, არცოდნის მიზეზით ყველაფერი ეპატიებაო?!“

— მამაჩემი ამბობს, თუშებს თავისი ნათქვამი ლექსები უფრო სწამო, ვიდრე სახარება და სამღვთო რჯული.

ნატოს ჯერ ისევ ბავშვურად პირბადერ სახეზე ღრუბელმა გადაუარა.

— რაცხან ჯარჯი ქედგაღმა წავიდ მოჯამაგირედ, მის მემრ მამაჩემს აღარ ემხიარულება და ღმერთსაც მის მემრ ემდურის.

— ჰოდა, მამაჩემი ამბობს, ემაგ სამდურავების გამო გაუწყრა ხალხს ღვთისა და ხატის მადლიო.

— ეჰ, რა ვიც, — ამოიოხრა ნატომ.

— ეგ არც მე ვიცი, ჩემო დაიკუნა, მე ის ვიცი, რომ შენ წერაკითხვა ჩემზე უფრო გემარჯვება და გიმნაზიაში მე და შენ ერთად უნდა ვისწავლოთო.

— შენ შენით სჯრი და ჰკერ, მე კი სადაც არი ვიღაცას მიმათხოვებენ, ბარტყების გამოჩეკას წერაკითხვა რად უნდო.

— გაგიჟდი, ნატო? — ვითომ შეშინებულმა მიისედ-მოისედა იამზემ, — მამზელ ეუფიმ რომ დაგვინახოს, ნამაჩემთან მიიჭრება დასაბეზღებლად!

სევდა ვერ ბოგინობდა ნატოს გულში და მცინარა თვალებში, ვერც სიდინჯე გასდევდა დიდხანს. უცებ წამოიჭრა ზეზე, ვითომ ჩიბუხი გააბოლა და დაბოხებული ხმით თქვა:

— Мамзелия Жужиа, ваши жалоб на мои доч мои бедни ухи прожужжалиа!

გოგონები ისევ გადაფიჩინდნენ სიცილით.

— „ერაცხან ჯარჯი ქედგაღმა წავიდ მოჯამაგირედ, მის მემრ მამაჩემს აღარ ემხიარულება და ღმერთსაც მის მემრ ემდურის.

— ჰოდა, მამაჩემი ამბობს, ემაგ სამდურავების გამო გაუწყრა ხალხს ღვთისა და ხატის მადლიო.

— ეჰ, რა ვიც, — ამოიოხრა ნატომ.

— ეგ არც მე ვიცი, ჩემო დაიკუნა, მე ის ვიცი, რომ შენ წერაკითხვა ჩემზე უფრო გემარჯვება და გიმნაზიაში მე და შენ ერთად უნდა ვისწავლოთო.

— შენ შენით სჯრი და ჰკერ, მე კი სადაც არი ვიღაცას მიმათხოვებენ, ბარტყების გამოჩეკას წერაკითხვა რად უნდო.

— გაგიჟდი, ნატო? — ვითომ შეშინებულმა მიისედ-მოისედა იამზემ, — მამზელ ეუფიმ რომ დაგვინახოს, ნამაჩემთან მიიჭრება დასაბეზღებლად!

სევდა ვერ ბოგინობდა ნატოს გულში და მცინარა თვალებში, ვერც სიდინჯე გასდევდა დიდხანს. უცებ წამოიჭრა ზეზე, ვითომ ჩიბუხი გააბოლა და დაბოხებული ხმით თქვა:

— Мамзелия Жужиа, ваши жалоб на мои доч мои бедни ухи прожужжалиа!

გოგონები ისევ გადაფიჩინდნენ სიცილით.

— შენ კი იცი, როგორ დაგამშვენა, იცი, როგორ გიხდება ეგ ალისფერი?! ო-ი, ნატულა...

თოვლზე ამოსული ვარდივით იყო გოგო ნატალია.

„შენსავით ლამაზი რომ ვყოფილიყავი, ჯარჯი ქედგაღმა არ წავიდოდა“, — ელვასავით გაკკრა იამზეს აქამდე გაურკვეველმა, ახლა უცებ გარკვეულმა ფიქრმა. თითონვე სახტად დარჩა, კინაღამ ხმამაღლა თქვა, კინაღამ იყვირა, მაგრამ ისევ უცებ წაუყრია იმ ფიქრს, უცებვე სძლია ანაზღეული, წამიერ სიამ-სიმწარეს და გაღიმებულმა ჩაავლო ნატოს ხელი:

— მოდი, შემოგვლები, მოდი სარკეში ჩავიხედოთ!

გოგონები ნაკადულის ჩახერგილ უბესთან ჩაცუცქდნენ და წყალში ანარეკლ თავის სახეებს სიცილ-კისკისით მიეკეკლუცნენ.

...და ტყიდან მზვერავი სამი წყვილი თვალი წააწყდა მათ.

— ვაიალამ, ალაპ, სწორედ ის არი! — წაიჩურჩულა ვერხვს ამოფარებულმა, იმ ხის ღეროსავით აწოწილმა ჩოფურამ, და ცხვირკაუჭიან სახეზე ახლო-ახლო დასმული ჭრილა თვალები ავად აუბრიალდა.

— რა იცი? — გადმოიხარა მისკენ და ჩურჩულითვე ჰკითხა მეორემ, ტირიფის ტოტებში შემალულმა, უზომოდ ჩასუქებულმა ქოსამ. მოჭუტული თვალები კი არ მოუშორებია ნაკადულის პირას მოკისკისე გოგონებისათვის.

— მომყეთ! — არ უპასუხა, კვლავ ჩურჩულით ბრძანა ჩოფურამ და ხეს გამოეყო. — ჰეი, ჯაკამალ, არ გესმის? — გაკკრა მან იდაყვი წაბლის ღეროს აკრულ ახალგაზრდას, და წავიდა. საცვეთებში გამოკრული წვრილი, გრძელი ფეხების ცერებზე გაირბინა ტყე, ღელეს თაავზე გასულმა, ძარღვიანი სხეული მშვილდივით მოზიდა, და ავაზის ნახტომით დაასკდა ნაკადულს.

ქოსამაც მიატოვა თავისი საფარი, ხის ძირში მიკეცილ ნაბადს დაავლო ხელი და მოულოდნელი სიმჩატით გაიქროლა, ჩოფურასთან თითქმის ერთდროულად გაჩნდა ნაკადულთან.

ჯაკამალი არ განძრეულა. დამძიმებული სხეული ვერ მოსწყვეტა ადგილს. „ვაჰაი, ალაპ, რას მერჩოდი, აქ რისთვის მომიყვანე?“ — წამოსცდა საყვედური და ხის ღეროზე აკრულ მკლავებში ჩამალა სახე. საკუთარი გულისცემით გაყრუებულს მოეჩვენა, რომ მის ზურგს უკან დაგორებული ზვავის ხმაურმა გაჭედა არე-მარე. სუნთქვაშეკრული უცდიდა ალაპის ყურომას. არ იცოდა, რამდენ ხანს იდგა, და არ იცოდა, რა მოელოდა. იდგა ხეს აკრული.

ფამი კი დაუბრუნებელში მიაქროლებდა წუთებს.

— მუსა, ეს მხდალი ლეკვი დალუპავს საქმეს. წამოათრიე, ან აქვე ჩააძაღლე, — მისწვდა მის ყურს წასისხნება და მკლავები დასწია. ჩოფურამ მისკენ გადაიწია, და ნაბადში გახვეული ტკბილთით ტყის სიხშირეს მისცა თავი.

მუსა-იბრაჰიმმა კრაველის ბოხი წარბებამდე ჩამოიფხატა და მოჭუტული თვალების ცივი ნაღვერდლები ქარქაშიდან ამოწეული ხანჯლის ფოლადს დააკვეხა.

— იარე! — თქვა მოკლედ, და გაოგნებული ჭაბუკი წინ გაიგდო.

მალე ჩოფურას დაეწივნენ და სამი მხედარი ზმანებასავით გაქრა, გაუჩინარდა...

სიჩუმე იყო. არ შრიალებდა ღეროს მომდგარი ტყე. არ ისმოდა ატრუსული ბალახის შარი-შური. არ ჩხრიალებდა ნაკადული.

აღარ იყო ცა მეწამული.

აღარ იყო თოვლზე ვარდივით ამოსული გოგო.

იყო იამზე მარტო. ხან გონ-უგონოდ, ხან ძილ-ღვიძილში. ხან თაღი სტკიოდა და კეფაზე მიხხმარი სიხსნელი უმოწყალოდ უწიწკნიდა თმას, ხან არაფერს გრძნობდა. არც არაფერი ახსოვდა. გულდამა ეგდო მიწაზე გართხმული, აკვირდებოდა სილაზე ამოხაზულ ასოებს და ვერ აგონდებოდა მათი სახელები. ხან შეუცდომლად კითხულობდა: შეიწყალე, უფალო, რამე თუ არ იციან, რასა იქმნიან, მაგრამ წაკითხულის მნიშვნელობა არ ესმოდა, უაზროდ უყურებდა, როგორ ეპარებოდა წყალი სილაზე მრგვლად ამოხაზულ ასოებს...

ცხენები კი მიაქროდნენ. ძე ქრისტიანი დღისითაც ვერ შემართავდა ქვეყანელიდან ცადაზიდულ იმ უბილიკო სალ კლდეებს. მაგრამ ცხენებს რჯული არ გააჩნდათ. ნაშალიდან კალიასავით ამხტომა, ნაპრალზე ჭაჯვივით გადაფრენა, ორბ-არწივისთვის მიუწვდენელი მწვერვალიდან უფსკრულს ჩასხლტება, აზვირთებული მდინარის გადალახვა იყო მათი რჯული.

ჭეშმარიტად, იმ კლდეთა პირველქმნილ სამყაროში, მხოლოდ მისთვის ცნობილ მოკლეზე ცხენის გახვენის ღმერთი იყო ჩოფურა კაცი, ჯასანბეგი. და ჯასან-ბეგის გაწვრთნილი ცხენის ყადრი იცოდა აზიზ-ნაიბის ჯარამხანის მეთვალყურემ მუსა-იბრაჰიმმა. გასწრებას ვერ უბედავდა ნაიბის გულის მესაიდუმლეს ჯასან-ბეგს, მისი ცხენის უკვლო ნავალს სჯერდებოდა. დროდადრო უკან იხედებოდა, ვინ გაიგებდა, მისი მუდამ მოჭუტული თვალების ცივი ფოლადი მღეავს ეძებდა, თუ მის ფეხდაფეხ მომავალ მხედარს უმიზნებდა.

ღაღესტნისაკენ მიაქროლებდნენ სამნი ცხენებს.

ღაუბრუნებელში მიაქროლებდა ყამი საათებს.

გბაცდა ზაფხულის მოკლე ღამე.

ჩჩარობს ჯასან-ბეგი. შფოთავს — ფუჭად არ ჩაუაროს ამ თავზე ხელაღებულმა სრბოლამ, გურჯი თავადის ასულის ნაცვლად გაციებული გვამი არ მიიტანოს აზიზ-ნაიბის სასახლეში. ხშირად იხედება ცისკენ და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფიქრებით იმშვიდებს გულს: ყოველსშემძღე ალაპმა იხმო ციური მნათობნი. ლოცვის დრო ახლოდდება. უნდა მოასწრონ ნამაზისათვის ნავარაუდევ ადგილზე მისვლა. გურჯი მზეთუნახავიც იქ მოითქვამს სულს. იქიდან კი რაღა მანძილია? ყოისუ გაიყვანს სამშობლოდ. ყოისუ! ჰმ, ეს ურჯულოები ალაზანს იძახიან. აქეთ მთები ცხვრისთვის მისწერნაა, ვალელა, უჭკუო თუშები კი მიდიან აქედან. ნამდვილ მთიელს ბარში რა უნდა? ფაეიდნენ. რაც მალე ფაგლეს, ჩვენთვის ხერია... განა მოსპეს გიაურებმა შამილის შთამომავალნი?..

ჯასან-ბეგის ჭროღა თვალები დაუოკებელი სიხარბით აფათურებენ ირგვლივ დაჯარულ მთის კალთებს.

გამთენიის ბინდბუნდში იორთქლება კავკასიონის ძალუში სუნთქვა, ნისლად იღვრება მთა-კლდეთა კალთებზე.

„ვაბაბაა, მუსა-იბრაჰიმ-ქერიმ ოღლი, რა იოლად ჩავიგდეთ ხელში ეს ბვირფასი ქალი!“ — ვინ იცის, მერამდენედ ულოცავს ქოსა თავის თავს. — სულწასული აზიზ-ნაიბი ამ მზეთუნახავს რომ დაინახავს, სიხარულით გახსნის თავის ბარაქიან ქიესას. მახლას, ყველა კაცს თითო ზნე სჭირს. აზიზ-ნაიბს ლამაზი ცოლები უყვარს. მე კი საზრუნავი მომემატება. ძალიან ფხიზლად უნდა ვიყო. გურჯი ქალის სილამაზის ხმა ხელათ გავარდება მთაში... არა უშავს, ალაპი მოწყალეა!.. ჯანღი მოდის. კარგია. ჯანღი ჩვენი ყინაღია, მდევრებს უღელტეხილზე არ გამოუშვებს. მაგრამ მდევრები აქეთ არც წამოვლენ.

ლია. მისი არსებობა ჯასან-ბეგმა პატარაობიდანვე იცის. ბერმა პაპამ ღამით ჩუმად წამოიყვანა აულიდან. უნაგირზე თავის წინ დასმული მიიყვანა იქ. გვიან შემოდგომა იყო და ძალზე ცივდა. ალღოიანი ბიჭი მიხვდა — პაპამ სწორედ ის დრო ირჩია იქ მისასვლელად, როცა თუშებს საზამთროდ ჩაერეკათ ცხვარი ბარში, მთა კი ჯერ არ იყო დათოვლილი. იმას კი ვერ მიხვდა, რისთვის მიიყვანა დაღესტნის მოსაზღვრე დიკლოზე უკანასკნელი ოსმეჩრობის მონაწილე პაპამ იმ ეხში. ცივ გარიჟრაჟზე ბერიკაცი ნამაზზე დადგა და ლოცვა რომ დაამთავრა, აულში დაბრუნება ინება. დაკაპიდა, ცოტასაც გაიზრდები და მაშინ კი ბიბლიბრ, რაც გაგიგენე ეს ეხიო. მაგრამ მოკვდა ბერი პაპა. ყველასათვის საიდუმლოდ დარჩა მათი მგზავრობა თუშეთში, შვილიშვილისათვის კი საიდუმლოდ დარჩა იმ მგზავრობის მიზანიც.

ჯასან-ბეგს კიდევ ერთი საიდუმლო ვერ აუხსნია დღემდე: მისი შფოთიანი და ხიფათიანი ცხოვრების გზიდან დროდადრო რად ისმობს ხოლმე თუშეთში ის ორიოდე მტკაველი მიწა, რად შერჩა სულზე უტკბესი დაღესტნიდან იმ ეხში მისული სიხარული.

მაგრამ ჯასან-ბეგს არ უყვარს, ჩვენად არა აქვს განგების ასაგალ-დასაგალში ფათური. გაუგებარი ამ ქვეყნად ბევრი რამ არის, იყო და იქნება. ჰოდა, იყოს, ვიდრე ალაჰი არ ინებებს იმქვეყნიურ სიცოცხლეში გაათავისუფლოს ყველაფერი გაუგებარისაგან!

მისი მუშტისოდენად აკეალთული ცხენი კოდის ეიი ციდა შვერილზე შესდგა ზამით, ჩაიფრუტუნა და აფრინდა, წვრილად ძიგძიგებული ოთხივე ფეხი ეხის დაღებულ ხახასთან დაასო მიწას.

მუსა-იბრაჰიმი და ჯაკამალიც თავის გვერდით რომ დაინახა, ჯასან-ბეგი მაშინ-ღა ჩამოხდა ცხენიდან, ტკბილი ბალახზე დასასვენა და ისარნაკრავივით შეაქცია ზურგი: ეს ქალი უკვე აზიზ-ნაიბის საკუთრებაა, ამას იქით, ნაიბისა და მუსას მეტმა კაცმა აღარ უნდა იხილოს მისი სახე.

მუსა-იბრაჰიმმა ფრთხილად გადაშალა ნაბდის კალთა, ქალის ხელფეხზე დადებული ბრტყელი ბაწარი ოდნავ მოუშვა და ნაბდის ყური გადასწია — ბაერს გზა მისცა მოტაცებულის უსიცოცხლო სახისკენ.

სამმა კაცმა ხელ-ფეხი დაიბანა და საღოცავად დადგა.

დაჩოქილი დგას ჯაკამალი, მაგრამ ლოცვის სიტყვები ვერ აგონდება. დახუჭულ თვალწინ მოკისკისე გოგონას სახე ეხატება, უცხო გრძნობა უღადრავს გულს, სულს უჯანყებს, სხეულს უწვავს. ჯაკამალი აღარ უძალიანდება იმ უცხო გრძნობას. დაე, ნუ ეპატიება ეს ცოდვა, დაე, შეგრისხონ, მისცენ საწამებელს, რა შეუძლია ჯაკამალს, თუ ყოვლისშემძლე ალაამა ერთ ღარიბ, უფლებაყრილ ბიჭს, უმამო ოჯახის მარჩენალს, დედის და დის ერთადერთ ქომაგს— დაუძლეველი ცდუნება მიავლინა?..

ჯაკამალს შუბლი უხურს, უმწეობა კერეონად უდვენთავს ლოყაზე თვალების თაფლისფერს. შეჩვენებას და საწამებელს შერიგებული, გაფიცებული ტუჩებით კითხვებს და საყვედურს აყრის, სასჯელს შესთხოვს ალაპს და კვლავ ძრწოლით პყრობილი, მზად არის ღრიალა მორევს მიუგდოს თავი, ან იმ ცივსა და ყრუ კლდე-კედელს შეეხეთქოს.

აღზევებულ გრძნობათა უხილავ ჯვარედინზე გაკრულმა უცებ ისე აშკარად იგრძნო სამი მხრიდან მისკენ მოღერებული ხანჯლის წვერი, რომ ზე აიჭრა და მოსხლტეთ მატრიალდა. არა, ალაპი არ ერია მისი ცდუნების ქსელის ქსოვაში. ეშმაკმა მოსტაცა მზერა და ნაბადი შეკონული გოგოს გადათეთრებულ სახეზე ლურჯი ტბებივით დამდგარ თვალებს შეახვედრა. მორთოლვარე ხელისგულით ჯაკამალმა შუბლიდან ოფლი აიწმინდა და გულში თუ მიწაზე ნაბიჯი გადადგა, მაგრამ ორ მხრიდან გადაჯვარედინებული დახვდა ჯასანბეგის ჭრიჭა და მუსა-იბრაჰიმის მოჭუტული თვალების მზერა.

ჯაკამალმა დაარღვია მართლმორწმუნეთა უსასტიკესი კანონი, და აშკარად დანახულმა განკითხვის წამმა გონიც და თვალისჩინიც გაუშახვილა, მოწიწებით დაახრევინა თავი:

— ჯასან-ბეგ, ეგ ქალი ის არ არი, ვინც თქვენ გინდოდათ.

— საიდან იცი? — სიასპიტემ სისინივით აუხმიანა კითხვა ჯასან-ბეგს.

— ნუ გამირისხდები, ჯასან-ბეგ, მე საიდან მეცოდინებოდა, დაზვერვისას თქვენვე მიმიშვით წინ, და მე... დავინახე: ერთმა ჯერ მძივი შეიხსნა, მეორეს გაუკეთა ყელზე, მერე კაბაც გაუცვალა...

— ჩუმად, უწმინდურო! ნაიბის საცოლე უკაბოდ დაინახე და ჩასაქოლ პირზე კლიტე კი დაიდე... — ძლივს ამოსცდა ჯასან-ბეგის ხორხს სიტყვები. გაფითრებულ სახეზე ვაკლასად აუფეთქდნენ შავად ნაყვავლარნი. — გაიგონე? — მიუტრიალდა მუსას.

გაიგონა მუსამ ის, რაც თქვა ჯაკამალმა, და რაც ხმამაღლა არ თქვა ჯასან-ბეგმა.

ჯაკამალმა სიმართლე თქვა.

ეს სიმართლე არ სჭირდებოდა ჯასან-ბეგს, არც მუსა-იბრაჰიმ-ქერიმოღლის.

ეს სიმართლე აჩრდილივით არ უნდა აპყოლოდა მათ.

ეს სიმართლე არ უნდა მისულიყო აზიზ-ნაიბთან.

ამ სიმართლეს არ უნდა ეცოცხლა.

და მუსამ სწრაფი, თითქოს არაყოფილი მოძრაობით იძრო ხანჯალი.

ჯაკამალმა ქალის შეკავლება გაიგონა, და მკერდში ფოლადის სიცივე იგრძნო...

...მშვენიერებით — რეალობის საზღვარს გაცილებული ფილა გათენდა კავკასიონზე.

მხატვარი ბ. ფოცხიშვილი.

იაკინთე ლისაშვილი



ქართულმა მწერლობამ მძიმე დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე იაკინთე ბარნაბის-ძე ლისაშვილი (ხომერიკი).

ი. ლისაშვილი ეკუთვნის იმ ბოლშევიკ ლიტერატორებს, რომლებმაც ჯერ კიდევ მენშევიკების ბატონობის პერიოდში ალმართეს თავიანი ბარი კალამი საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის გასაჩაღებლად, რისთვისაც არა ერთხელ დააპატიმრეს და მოათავსეს მეტეხისა და ჭუთაისის ციხეებში.

იაკინთე ლისაშვილი დაიბადა 1897 წლის 19 სექტემბერს, მახარაძის რაიონის სოფ. ზედობანში (ამჟამად შრომაში შედის), გლეხის ოჯახში.

მამამისი წვრილშვილიანი კაცი იყო და მომავალმა მწერალმა ბავშვობაშივე იგემა იმ დროის სიდუხჭირე და უფლებააყრილი გლეხკაცის მწარე ხვედრი.

ექვსი წლისა იყო იაკინთე ლისაშვილი, როცა შრომითი საქმიანობა დაიწყო. ერთხანს მამას უდგა მხარში და მასთან ერთად ეწეოდა ცხოვრების მძიმე ჯაპანს, მერე ბათუმში ჩაიყვანეს და გიორგი თავვრთქლადის კერძო სტამბაში მიაბარეს ასოთამწყობის პროფესიის შესასწავლად. სტამბაში გამეფებულმა მძიმე პირობებმა ცუდად იმოქმედა მის ჯანმრთელობაზე, ასოთამწყობის პროფესიას კი დაეუფლა, მაგრამ მუშაობა ვეღარ შესძლო და იძულებული გახდა კვლავ სოფელს დაბრუნებოდა.

1916 წელს იაკინთე ლისაშვილს მეფის არმიაში იწვევენ. არმიიდან დაბრუნების შემდეგ იგი საცხოვრებლად თბილისში გადადის და სამხედრო სამინისტროს სტამბაში იწყებს მუშაობას. აქ გაიცნობს ძველ ბოლშევიკებს ვანო ბოლქვაძეს, მატვეი კარას და სხვ. და გატაცებით ჩაებმებმა რევოლუციურ საქმიანობაში.

1920 წლის თებერვალში იგი შედის ბოლშევიკური პარტიის რიგებში და ასრულებს სხვადასხვა პარტიულ დავალებებს. იმავე წელს მას აპატიმრებენ და ქუთაისის საპყრობილეში გადაყავთ. ციხიდან საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეს ანთავისუფლებენ.

იაკინთე ლისაშვილი ბაბუკობიდანვე ჩაება ლიტერატურულ საქმიანობაში. მისი პირველი ერთმოქმედებიანი პიესა „უნაყოფო ნუგეში“ 1919 წელს დაიბეჭდა ყურნალში „თეატრი და ცხოვრება“. მას მოჰყვა მეორე ოთხმოქმედებიანი დრამა „ომის ბრალია“ და აქედან მოკიდებული სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე კალამი არ გაუგდია ხელიდან.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიეცა ნამდვილი შესაძლებლობა, მთელი გატაცებით ჩაბმულიყო ლიტერატურულ ცხოვრებაში. ჩვენს პერიოდულ პრესაში სისტემატურად იბეჭდებოდა მისი პიესები, ლექსები, მოთხრობები, რომანები. იგი მეტად ნაყოფიერი მწერალია, ავტორია ლექსებისა და პოემების ექვსი კრებულისა, მრავალი მოთხრობისა და რომანისა. ამ ნაწარმოებებით იგი კეთილსინდისიერად ემსახურებოდა მშრომელი ხალხის ინტერესებს და უმღერდა საქართველოში გაჩაღებულ სოციალისტურ დიად მშენებლობებს, ჩვენი ხალხის სულიერ სისპეტაკეს და კიდევ უფრო უკეთეს მომავალს. მის რომანებში „ვარდნილი“ და „ძახილი მთაში“ შესანიშნავად აისახა ახალი ეპოქის მოვლენები და ქართველი ხალხის გმირული მიღწევები.

ბოლშევიკური პარტიის სახელოვან რევოლუციურ წარსულს მიუძღვნა მან თავისი ბრწყინვალე რომანი „ეცხოველი“. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს რომანი ქართული საბჭოთა ლიტერატურის თვალსაჩინო მიღწევაა. ამ რომანში მან ცოცხლად დაგვიხატა დიდი ქართველი მარქსიტ-ლენინელი, შეუნელებელი ბოლშევიკი, ...

საქართველოს ჭიათ-ბურთში

პირველ ადგილზე საბჭოთა კავშირში

ბათუმი. (საქინფორმი). საქართველოს საზღვაო სანაოსნოს მეზღვაურებმა და ნავსადგურის მუშაკებმა კიდევ ერთი შრომითი გამარჯვება მოიპოვეს. მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის მეოთხე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მათ დაიმსახურეს სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროსა და საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. შეინმა საზეიმო ვითარებაში გადასცა საქართველოს საზღვაო ნაოსნობის კოლექტივს გარდამავალი წითელი დროშა და დიდი წარმატებანი უსურვა ახალი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

საქართველოს საზღვაო სანაოსნო ყველაზე ახალგაზრდაა სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს სანაოსნოთა შორის. მიმდინარე წლის პირველ ივლისს მას ხუთი წელი უსრულდება. ამ მოკლე დროის მანძილზე სანაოსნოს მეზღვაურებმა და ნავსადგურის მუშაკებმა რვაჯერ გაიმარჯვეს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

4 მილიონი ბოთლი „სქური“

ნალენჯიხა. (საკ. კორ.). ახალი ხუთწლედის პირველ წელს კარგად იმუშავა „სქური-ლუგელას“ ჩამომსხმელმა ქარხანამ. მომხმარებელს გაეგზავნა 4 მილიონ 112 ათასი ბოთლი მინერალური წყალი „სქური“. ქარხანამ საგფთიაქო სამმართველოებს მიაწოდა 500 ათასი ბოთლი „ლუგელა“.

„სქური-ლუგელას“ ჩამომსხმელი ქარხნის კოლექტივი გაეცნო მოსკოველთა თაოსნობას და იკისრა ვალდებულებანი როგორც მიმდინარე წლის, ისე ხუთწლედის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. წელს მომხმარებელი მიიღებს 4 მილიონ 200 ათას ბოთლ „სქურს“, 500 ათას ბოთლ „ლუგელას“. ხოლო, ხუთწლედის ბოლოსათვის 1975 წელს — 9 მილიონ 500 ათას ბოთლ „სქურს“.

გაზაფხული ბათუმში.

ფოტოტიუდი ა. ჩანგლაძისა.

ფინალები დაიწყო

საბჭოთა ოლიმპიადა

როგორც ეიუწყებოდით, მოსკოვში ამოიწურა პირველი საბჭოთა ოლიმპიადის წინასწარი შეხვედრები ჯგუფებში. ორ-ორი უძლიერესისაგან შეიქმნა პირველი ფინალური ჯგუფი, სადაც თამაშდება 1-6 ადგილი. მეორე ფინალურ ჯგუფში მეტოქეები ებრძვიან 7-12 ადგილებისათვის, მესამეში — დანარჩენი ადგილებისათვის. ჯგუფებს ფინალურ ჯგუფებში ეთვლებათ ერთმანეთთან შეხვედრის შედეგები, ამიტომ ასპარეზობა მეორე ტურით დაიწყო.

პირველ ფინალურ ჯგუფში ჯერჯერობით ლიდერობს მოსკოვის ნაკრები, რომელსაც 12,5 ქულა და 7 გადადებული პარტია აქვს. 9 მარტს დედაქალაქის მოჭადრაკეებმა უკრაინელებთან შეხვედრა დაამთავრეს 3,5:1,5 და 7 გადადებული პარტიით. 9 ქულა კი ფინალურ ჯგუფში [illegible] ლიდერობს.

ამ ფინალურ ჯგუფში [illegible] 2:5 (5 გადადებული პარტია), საქართველოლენინგრადი 5:2 (5); **მეორე ჯგუფი** — სომხეთი-ყაზახეთი 3:1 (8), აზერბაიჯანი-ბელორუსია 3,5:2,5 (6), უზბეკეთი-ესტონეთი 4,5:3,5 (4); **მესამე ჯგუფი** — თურქმენეთი-მოლდავეთი 3,5:5,5 (3), ტაჯიკეთი-ლატვია 1,5:6,5 (4).

ამრიგად, მთავარ ფინალურ ჯგუფში მოსკოვის ნაკრების შემდეგ მეტოქეებს ჯერჯერობით ასეთი მდგომარეობა აქვთ: რსფსრ — 12 ქულა, უკრაინა — 10.5, საქართველო — 8, ლენინგრადი — 7, ლატვია — 5 ქულა. გუშინ ვაიმართა მესამე ტური.

დღეს და ხვალ გრენოგლოში

„მძლეოსნურ ზამთარს“ ფინიში გრენობლში ექნება. სწორედ აქ, სადაც ოთხი წლის წინათ მოეწყო ზამთრის ოლიმპიური ასპარეზობა, დღეს და ხვალ გაიმართება ევროპის მესამე ჩემპიონატი მძლეოსნობაში (დახურულ შენობებში). გრენობლში ერთ-ერთი ყველაზე წარმომადგენლობითი გუნდი საბჭოთა კავშირს ეყოლება. თუ გავიხსენებთ წინა ორ ასეთ ასპარეზობას, ოქროს მედლების ყველაზე მეტი რაოდენობა სწორედ ჩვენმა სპორტსმენებმა მოიპოვეს — ვენაში — 10, სოფიაში — 8.

საბჭოთა გუნდის შემადგენლობაში არიან ვენისა და სოფიის პირველობის ჩემპიონები — ვ. ბორზოვი, ვ. სანეევი, ნ. ჩიეოვა და სხვები. ვ. ბორზოვმა წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოსვლისას არაერთხელ დაამარცხა ამ ქვეყნის გამოჩენილი სპრინტერები. სოხუმელმა ვიქტორ სანეევმა ჩვენი ქვეყნის ზამთრის პირველობაზე სამხტომში აჩვენა შედეგი — 16 მეტრი და 94 სანტიმეტრი. ეს მხოლოდ ერთი სანტიმეტრით უარესი იყო მისსავე უმაღლეს შედეგზე. ამიტომ მოსალოდნელია, მან გრენობლში გადალახოს 17 მეტრის ზღვარი. რაც შეეხება ნ. ჩიეოვას, მას თითქმის ყოველ გამოსვლაში ახასიათებს ახალი რეკორდების დამყარება და ამჯერადაც ამასვე უნდა მოველოდეთ.

ევროპის ზამთრის პირველობის სტარტზე გამოვა აგრეთვე სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე სპარტაკიადის ჩემპიონი თარჯრბენში ა. მოშიაშვილი. აღსანიშნავია, რომ ამას წინათ მან გააუმჯობესა სსრ კავშირის უმაღლესი მიღწევა 60 მეტრზე თარჯრბენში — 7,6 წამი.

ინყება მეოველფინალები...

დღეს იწყება სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოველფინალური შეხვედრები თეხბურთში.

სოფში ერთმანეთს შეხვდებიან ლენინგრადის „ზენიტი“ და „დინამოს“ გუნდები. ამაღე დღეს აქვე მატჩი იქნებათ მოსკოვის „სპარტაკსა“ და ზაპოროჟიის „მეტალურგს“.

ქალთა ბურთი

ჭადრაკი

საბჭოთა ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა თავისი განვითარების დიდმნიშვნელოვან ეტაპს განიცდის: 1972 წლის 1 მარტიდან ამოქმედდა ახალი სრულიად საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“. „მზთ“ ახალი კომპლექსის არსისა და ამოცანების შესახებ ახალი ამბების საგენტოს თხოვნით მოგვითხრობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების უფროსი აიდარ ვალიახმეტოვი.

ტარტერის გასროლა-საერთ მოკლე და მკერი სიტყვა „მზთ“ ნიშნობია საბჭოთა ადამიანების რამდენიმე თაობისათვის.

„მზთ“-ს ნიშანს მკერდზე ატარებს საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის მრავალი მოქალაქე. მზთ-ს ნიშნისანი — ეს არის მაგარი კუნთები. ჩინებული ჯანმთელობა, სიმარჯვე და მოსაზრებულობა. ყოველი საბჭოთა სპორტსმენი — ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონი თავის სპორტულ კარიერას მზთ ნორმატივების ჩაბარებით იწყებდა.

ოთხი ათეული წლის წინათ იქნა შემუშავებული პირველი კომპლექსის ნორმები. რამდენიმე ხნის შემდეგ, 1934 წელს, გაუჩნდათ თავიანთი ნიშანი მოსწავლეებსაც — მიში („მზად იყავ შრომისა და თავდაცვისათვის!“). კომპლექსი ფიზიკური აღზრდის საბჭოთა სისტემის საფუძველი გახდა.

40 წლის მანძილზე, ცხოვრების მოთხოვნათა მიხედვით, კომპლექსს არაერთხელ ეუცვლია სახე, ქრებოდა და შემოდიოდა ზოგიერთი ნორმა, რთულდებოდა სხვები. მზთ კომპლექსი, რომლითაც მეოთხეა ფიზკულტურული მუშაობა საბჭოთა კავშირში უკახასენელ დრომდე, დამტკიცებულ იქნა 1939 წელს.

რა თქმა უნდა, მზთ ტრადიციული დეკეზი — „მაგარი კუნთები, მჭრელი თვალი ყოველ მშრომელს ესაჭიროება!“ — დღეს ისევე აქტუალურია, როგორც ათეული წლების წინათ იყო. მაგრამ ცხოვრება ერთ ადგილზე როდი დგას. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში, სოციალისტური საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ადამიანის ფიზიკური მომზადებისადმი მოთხოვნები სხვა, უფრო მაღალი ხდება. მზთ, წინანდელი კომპლექსი მთელი რიგი თავისი დებულებებით ველარ დააკმაყოფილებდა ამ მოთხოვნათა ფონზე, რომ ფიზიკური აღზრდის სისტემის საფუძველი ყოფილიყო. ამიტომ გაჩნდა ახალი კომპლექსი, რომელიც 1 მარტიდან ამოქმედდა.

მეცნიერთა და ფიზკულტურულ სპეციალისტთა მიერ შემუშავებული კომპლექსი გაუძღვებიდა იქნა მეცნიერული საფუძველზე ნიმთ შეძენილი გამოცდილების, ფართო განხილვის მსვლელობაში გამოთქმული წინადადებებისა და სურვილების გათვალისწინებით. იმ სახით, რომლითაც ის დღეს ამოქმედდა, კომპლექსში „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის თავდაცვისათვის“ შეიბარბარუნა სხვადასხვა ამბრივი ზოგადფიზიკური მომზადების ნორმატივები. ეს ნორმატივები ადამიანებს ეხმარებიან ფიზიკურ-ფიზიოლოგიურ მონაცემთა ფართო სპექტრში ჰარმონიული ფიზიკური განვითარებისა, ფიზიკური ძალისა, ენერგიულობისა, ფიზიკური ეფექტურობისა, ფიზიკური ეფექტურობისა, ფიზიკური ეფექტურ